საქართველო
თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერია
Self - Governing Poti City Hall

01.11.2013 №377

№ 1-03/3412 17 10 2013 წელი

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორს

ბატონ სერგი კაპანაძეს

თქვენი 2013 წლის 8 ოქტომბრის N593 წერილის შესაბამისად, გაცნობებთ შემდეგს:

1. როგორც თქვენთვის ცნობილია, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ამდენად, 2010-2012 წლებში შექმნილი საწარმოების შესახებ ზუსტი ინფორმაცია შეგიძლიათ გამოითხოვოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან.
2. 2010-2011 წლებში ქალაქ ფოთში განხორციელებული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ 101 482 473 ლარი შეადგინა.
3. 2010-2011 წლებში ქალაქ ფოთში ცენტრალური ბიუჯეტიდან განხორციელებული ინვესტიციის მოცულობამ 7 919 600 ლარი შეადგინა.
4. 2010-2011 წლებში ქალაქ ფოთში ადგილობრივი თვითმმართველობიდან განხორციელებული ინვესტიციის მოცულობამ 8 652 100 ლარი შეადგინა.
5. 2010-2011 წლებში ქალაქ ფოთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებულმა მოცულობამ 22 310 800 ლარი შეადგინა.
6. 2010 წელს თვითმმართველი ქალაქ ფოთისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო 2093,5 ათ. ლარის ტრანსფერი, ხოლო 2011 წელს-58261, 1 ათ. ლარი.
7. 2011 წელს ქალაქში განხორციელდა 50,0 ათ.ლარის უცხოური ინვესტიცია, დაიწყო მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, რომელიც დასრულდა 2012 წელს, მთლიანმა ინვესტიციამ შეადგინა 22 მილიონი ლარი.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერი **დათო სარსანია**

შემსრულებელი: თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
ადმინისტრაციული სამსახური

საქართველო, 4400, ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ №12; ტელ/ფაქსი: 8(493)222525; 221001 ელ-ფოსტა: meria.poti@gmail.com
N12, Agmashenebeli str. 4400 Poti, Georgia, Te/fax: (+995) 493 222525; 22101 E-mail: meria.poti@gmail.com